

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ერთობლივი ფინანსური რისკის მართვის სისტემა. დიდი ხნის განმავლობაში საბანკო საქმიანობის რეგულირების სისტემებში ძირითადი აქცენტი კაპიტალის საკმარისობის შეფასებისადმი სტანდარტიზირებულ მიდგომებზე კეთდებოდა, მაგრამ ბოლო ფინანსურმა კრიზისმა დაგვანახა, რომ რეგულაციური კაპიტალის მიმართებაში ნორმატივის დაცვა ბანკის შენაბრებსა და ინვესტორებს საკრედიტო ორგანიზაციების დეფლოტებისაგან რეალურად არ იცავს.

საკვანძო სიტყვები: რისკ-მენეჯმენტი; ინვესტიციის, ლიკვიდობის რისკი; რისკიანი საწარმო; რისკიანი პორტფელი; რისკისა და შემოსავლიანობის თანაფარდობა.

Summary

Modern society demands certain requirements to banks in connection with their financial activities. Banks' work should be highly effective. That's why it's actual to assess efficiency of bank's financial activities. It should be noted that there is no single approach of efficiency determination in the world. In economically highly developed countries effectiveness is determined by the increase of the bank's stock or business price, while in less developed countries, it is possible to evaluate the effectiveness by means of profitability and rent ability. Moreover, the modern banking sector is characterized by increased competition and the existence of a global crisis. In this case, assessment is concentrated on the evaluation of banks' sustainability and reliability. On the other hand consistency and reliability is highly dependent on banks' capital structure and enough to cover this risk, balance sheet liquidity levels, asset quality and structure, risk management policy, risk - Management arrangements for quality control.

Keywords: Risk-management; Investment liquidity risk; Venture company; Risk portfolio; risk / return rate off.

შესავალი

სხვადასხვა ბუნების რისკის ფაქტორების (საკრედიტოს, საოპერაციოს, ბიზნეს-რისკების) შესახებ მონაცემების არგუმენტირებადი მოდელების გაზომვისა და ჩამოყალიბების პრობლემები, საკმარისად კარგად არ არის შესწავლილი. რისკის გამოვლენებს შორის შეიძლება ურთიერთკავშირები არსებობდეს, რაც ასევე მმართველობითი გადაწყვეტილებების

მიღებისას უნდა იქნას გათვალისწინებული. ერთობლივი რისკის ბოლომდე შეუფასებლობა ან გადაფასება საკრედიტო ორგანიზაციის ფუნქციონირების მდგრადობაზე და ეფექტიანობაზე ზემოქმედებენ. ამრიგად, კომერციული ბანკის რისკების მრავალფეროვანი ფაქტორებისა და ფინანსურ შედეგებზე მათი ინტეგრალური ზემოქმედების გამათვალისწინებელი მოდელების ჩამოყალიბება არის საჭირო.

ძირითადი ტექსტი

კაპიტალის საკმარისობის შეფასების შიდა პროცედურების ჩამოყალიბებისას საჭიროა გამოვიდეთ იქედან, რომ მოცემული სისტემა ბანკის უფრო საერთო სტრატეგიული მართვის სისტემის ქვესისტემას წარმოადგენს, რომლის ზემოქმედებები ყველა სახეობის საწარმოო რესურსების (ფინანსურების, შრომითების, მატერიალურებისა და არამატერიალურების) ბიზნეს-პროცესებში ეფექტურად და სრულად გამოყენებაზეა მიმართული. სტრატეგიული მართვის სისტემის (სმს) გლობლურ მიზანს ბანკის ღირებულების, მისი ფინანსური მდგრადობის და საკანონმდებლო მოთხოვნილებებისა და შეზღუდვების დაცვის შენარჩუნებისას, მდგრადი გრძელვადიანი ზრდის მიღწევა წარმოადგენს.

აღნიშნული ამოცანების შესაბამისად მართვის თანამედროვე სისტემებში გამოიყოფა ისეთი ქვესისტემები, როგორიცაა:

ფინანსური მართვა (რომელიც მოიცავს ფინანსური რესურსების ბიზნესის მიმართულებების მიხედვით განაწილებას, დანახარჯებისა და რისკების მართვას);

მარკეტინგი და ინოვაციების მართვა;

კლიენტებთან ურთიერთმოქმედების მართვა და გაყიდვების ქსეკის შექმნა;

მარეგულებელთან და სოციალურ-ეკონომიკურ თანამეგობრობასთან (public relation) ურთიერთმოქმედების მართვა;

პროცესული მართვა, მიმართული ბიზნეს-პროცესების გაუმჯობესებაზე;

ცოდნის მართვა (knowledge management);

პერსონალის მოტივაცია და მართვა;

ორგანიზაციული კაპიტალის მართვა (organizaciis strukturireba);

ინფორმაციული კაპიტალის მართვა (IT - management).

ერთობლივი ფინანსური რისკის მართვის სისტემის შინაარსის გამსაზღვრისას, უნდა იქნას გაგებული, რომ სტრატეგიული მენეჯმენტის ყველა ქვესისტემები ურთიერთ მჭიდროდაა დაკავშირებული და ერთმანეთთან ურთიერთმოქმედებენ. უპირველეს ყოვლისა, ერთობლივი ფინანსური რისკის მართვის

სისტემა (ეფრმს) სტრატეგიული ფინანსური მენეჯ-მენტის ნაწილს წარმოადგენს, რომლის ჩარჩოებში ბანკის საქმიანობის, მართვის ყველა დონეებზე და მის ყველა ბიზნეს-პროცესებში, ეფექტიანობის მართვა ხორციელდება. ამასთან ეფექტიანობა აღიქმება რიგორც რთული კატეგორია, რომლის გაზომვა - მიმდინარე მოგების მიღებასთან და მისი გრძელვადიანი ზრდის უზრუნველყოფასთან, ლიკვიდობის მხარდაჭერასთან და რისკის გონივრულ შეზღუდვასთან, ღირებულების არა მარტო ბანკისათვის, არამედ მისი კლიენტისათვისაც და მთლიანად საზოგადოებისათვისაც შექმნასთან არის დაკავშირებული.

მეორე მხრივ, სტრატეგიული ფინანსური მენეჯ-მენტის ყველა დანარჩენ ზემოთჩამოთვლილ ქვესისტემებში გადანყვეტილებები უნდა იქნას ფინანსური ინდიკატორების საფუძველზე მიღებული, რომელთა შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს ერთობლივი ფინანსური რისკის მაჩვენებელი წარმოადგენს, რომლის ნეგატიური პროგნოზები შემზღუდავები უნდა გახდნენ სტრატეგიული და მიმდინარე მმართველობითი გადანყვეტილებების მიღებასთან მიმართებაში. ამიტომ ერთობლივი ფინანსური რისკის მაჩვენებლები ბანკის სტრატეგიული მენეჯმენტის სისტემის ყველა დონეზე და ყველა ქვესისტემებში მიღწევადი უნდა იყოს.

რისკების მართვის პროცესებისა და გადანყვეტილების მიღების დანარჩენი პროცესების ამდაგვარმა კოორდინაციამ ბანკის ინტეგრირებული რისკ-მენეჯმენტის (ირმ) სახელწოდება მიიღო. სტრატეგიული მართვის სისტემაში და, უპირველეს ყოვლისა, სტრატეგიული დაგეგმვის სისტემაში რისკების მართვის ინტეგრირებულობის პრინციპის რელიზაციის აუცილებლობის შესახებ მარეგულირებლების, მათ შორის ცენტრალური ბანკის მხრიდანაც მკაფიოდ არის მითითებული, კერძოდ „საკრედიტო ორგანიზაციების მიერ კაპიტალის საკმარისობის შეფასების შიდა პროცედურების ორგანიზაციასთან მიმართებაში მეთოდურ რეკომენდაციებში“ მითითებულია, რომ „კაპიტალის საკმარისობის შეფასების შიდა პროცედურები (კსშშპ) რეკომენდირებულია შემუშავებული იქნას საკრედიტო ორგანიზაციის ბიზნესის გრძელვადიანი ინტერესების გათვალისწინებით და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან იქნას გაკავშირებული, ანუ კსშშპ-ს შემუშავებისათვის საფუძველს საკრედიტო ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიასი განსაზღვრული - ბიზნესის განვითარებასთან მიმართებაში და კაპიტალის დაგეგმილი (მიზნობრივი) დონეების ორიენტირები წარმოადგენენ“.

სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესებში ერთობლივი ფინანსური რისკის მართვის სისტემის (ეფრმს) ადგილის უფრო ზუსტად განსაზღვრისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია კაპიტალის საკმარისობის შეფასების შიდა პროცედურების (კსშშპ) აგების პრონციპები იქნას ჩამოყალიბებული. ისინი უნდა განსაზღვრავდნენ:

1. კაპიტალის საკმარისობის შეფასების შიდა პროცესების ინტეგრირებულობას:

კოორპორატიული მართვისა და ფინანსური მენეჯ-მენტის სისტემაში;

ბანკის სტრატეგიული დაგეგმვის სისტემაში.

ერთი მხრივ, კაპიტალის საკმარისობის შეფასების შედეგები - ბიზნესის განვითარებასთან (სტრატეგიის ფორმირებისას) მიმართებაში გადანყვეტილებების მიღებისას, ახალი სახეობის/დამატებითი მოცულობის რისკების გადაფარვის მიზნით კაპიტალის საჭირო სიდიდის შეფასებისათვის საფუძველს სახით გამოიყენება. მეორე მხრივ, განვითარების სტრატეგიის ფორმირებისას კაპიტალის საკმარისობის შეფასების პროცედურები თვითონ ექვედებარებიან - საქმიანობის ახალ პირობებთან, ბიზნესის ცვალებად ხასიათსა და სრტუქტურასთან, მიღებადი რისკების დონისა და პროფილთან მათი შესაბამისობის საგანზე ანალიზს. მაგალითად, საკრედიტო ორგანიზაციის მიერ საქმიანობის ახალი მიმართულების განვითარების შესახებ გადანყვეტილება, რომელსაც საკრედიტო ორგანიზაციის მიერ მისთვის ახალი სახეობის რისკის მიღებისაკენ მივუვართ, მიზანშეწონილია მოცემული ახალი სახეობის რისკის შეფასებასთან მიმართებაში მისი გადაფარვისათვის კაპიტალის საჭირო სიდიდისა და მის მართვასთან მიმართებაში ინფრასტრუქტურის შეფასების არსებობით იქნას გამაგრებული.

2. ორგანიზაციული სტრუქტურის დონეზე ფუნქციების დაყოფის უზრუნველყოფას, რომლებიც რისკების მიღებასთან და მათი ისეთიანად მართვასთან არიან დაკავშირებული, რომ რისკებთან ოპერაციებისა და მართვის განხორციელება (რისკების იდენტიფიკაცია, შეფასება, მონიტორინგი, შიდა ანგარიშგების მომზადება) ერთი ქვედანაყოფის ფუნქციებს არ წარმოადგენდეს. აღნიშნულთან დაკავშირებით ქვედანაყოფების ამოცანები, კომპეტენცია და მოვალეობები (რისკების მიღებაზე პასუხისმგებელი ქვედანაყოფები და მათ მართვაზე პასუხისმგებელი ქვედანაყოფები) მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული.

3. ბანკის ყველა არსებითი სახეობის რისკებისადმი მიდრეკილების დამოუკიდებელი აგრეგირებული შეფასების განხორციელებასა და შეფასების შედეგების არსებულ კაპიტალთან შესაბამისობის დადგენას. რეგულატორის მიერ რეკომენდირებულია, რომ ასეთი შეფასების განხორციელებელი ქვედანაყოფი უშუალოდ საკრედიტო ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს ან აღმასრულებელ ორგანოს ექვემდებარებოდეს.

4. რისკების მართვის სისტემის არსებობას, რომელიც მოიცავს არა მარტო საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო რისკებს, არამედ რისკების ახალ სახეობებსაც, რომლებიც თვითონ თავისთავად მნიშვნელოვნებად შეიძლება არ გვესახებიან, მაგრამ სხვა რისკებთან შეხამებაში შეიძლება მნიშვნელოვან დანაკარგებამდე მიგვიყვანონ, მაგალითად, ბიზნეს-რისკი, სარეპუტაციო რისკი, სამართლებრივი რისკი

და ა.შ.

5. რისკის ერთობლივი ზღვრული სიდიდის („რისკისადმი წყურვილის“ ან რისკის ქვეშ კაპიტალის) განსაზღვრაზედირექტორთა საბჭოს მასუხისმგებლობას, რომლის მიღებაზე საკრედიტო ორგანიზაცია არის მზად. მოცემული მაჩვენებლის განსაზღვრისას ხშირად მესაკუთრეები - სასურველი საგარეო რეიტინგისა და ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრულ დონეზე (მაგალითად, კაპიტალის მოგებიანობის მახასიათებლები) და ყველა არსებითი რისკების სახეობებისათვის მიზნობრივი/მაქსიმალური დონეების მიღების ამოცანებიდან გამოდიან. რისკ-წყურვილის განსაზღვრა კაპიტალის დაგეგმვისას ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

6. საკრედიტო ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს, მისი აღმასრულებელი ორგანოების მხრიდან კონტროლს - საკრედიტო ორგანიზაციის კაპიტალის საკმარისობაზე, რისკების მართვისათვის გამოყენებადი პროცედურების ეფექტიანობაზე, მოცემული პროცედურების საქმიანობის განვითარების სტრატეგიასთან, ხასიათთან და მასშტაბთან შესაბამისობაზე.

დასკვნა

კაპიტალის საკმარისობის შეფასების შიდა პროცესების (კსშშპ) აგების ჩამოყალიბებული ექვსი პრინციპის გათვალისწინებით შეიძლება ბანკის ერთობლივი ფინანსური რისკის მართვის სისტემის (ეფრმს) ძირითადი ელემენტების შინაარსი (შემცველობა) იქნას განსაზღვრული. ბანკის ერთობლივი ფინანსური რისკის მართვის სისტემის კომპონენტების განსაზღვრისას მიზანშეწონილია სისტემური მიდგომის საერთო დებულებები გავიხსენოთ, რომელიც მოითხოვს ნებისმიერი სისტემის მიზნობრივი, სარესურსო, ფუნქციონალურ-ორგანიზაციული, მარეგულირებელი და, რეზულტირებადი (შედეგობრივი) ელემენტების გამოყოფას.

ბანკები ხშირად მართვის სისტემის მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის შემუშავებისას სისტემურ მიდგომას იგნორირებენ. კონკრეტული კონტრაგენტების რისკების ან ცალკეული სახეობების რისკების შეფასებისათვის ყველაზე უფრო ქვედა დონის მითოდისებრი განვითარებული. ნაკლები ხარისხითაა, როგორც ჩვენ უკვე ავლნიშნეთ, რისკების აგრეგაციის მეთოდები შემუშავებული, განსაკუთრებით ისინი, რომლებშიც წარმატებული, აღიარებული, და არა სტანდარტული მიდგომები გამოიყენება. მაგრამ ერთობლივი ფინანსური რისკის შეფასებისათვის სწორედ ბანკის ინდივიდუალური გადაწყვეტილებებია საჭირო, რომლებიც მან მარეგულირებელის წინაშე რისკების შეფასების მოდელების პროცედურების ვარიანტების საფუძველზე უნდა დაიცვას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Hampton John. Fundamentals of enterprise risk management: how top companies assess risk, manage exposure, and seize opportunity. – AMACOM, New York, 2009.
2. Jorion Philippe. Financial risk manager/GARP. Handbook. Fourth edition.- Published by John Wiley & Sons, Inc., 2007
3. Jorion Philippe. Value at risk: the new benchmark for managing financial risk, Library of Congress Cataloging-in-Publication Data, 2nd ed., 2001
4. Koenig David R. The Professional Risk Managers' Handbook /A Comprehensive Guide to Current Theory and Best Practices. The Official Handbook for the PRM Certification -support@prmia.org
5. 105. Lam James. Enterprise Risk Management: From Incentives to Controls. – John Wiley & Sons, Inc., Hoboken, New Jersey, 2003
6. Lore M., Borodovsky L. (eds.) The Professional's Handbook of Financial Risk Management. – Oxford: Butterworth-Heinemann, 2000.